სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

# ბალანსებში

მარტი №6

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

## გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

**UDC (uak) 336.2+336.14(051.2)**
**g-145**

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
*registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009*

**Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~**

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elguja qavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
**EDITORIAL BOARD**

Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
ChairmanC: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
**Doctors of Economics, Professors:**

| | |
|---|---|
| zaur amilaxvari | Zaur Amilakhvari |
| rezo gvelesiani | Rezo Gvelesiani |
| simon gelaSvili | Simon Gelashvili |
| irma dixaminjia | Irma Dikhaminjia |
| kaxaber eraZe | Kakhaber Eradze |
| SoTa veSapiZe | Shota Veshapidze |
| larisa TakalanZe | Larisa Takalandze |
| zurab lipartia | Zurab Lipartia |
| zaira RuduSauri | Zaira Gudushauri |
| Temur Sengelia | Temur Shengelia |
| mixeil CikviladZe | Mikheil Chikviladze |
| nodar xaduri | Nodar Khaduri |
| elene xarabaZe | Elene Kharabadze |
| rezo xarebava | Rezo Kharebava |
| nanuli ZimceiSvili | Nanuli Dzimceishvili |

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi orjer, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4

**ISSN 1987-9156**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# sarCevi / **Table of contents**

## oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-49

instruqcia / **Instuctions** ---------- 50-51

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ---- ---------- ----52-57

saqarTvelos erovnuli banki / **National Bank of Georgia** -------- 58-59

auqcioni / **Auqcion** ---------- 60

gadasaxadebi #6, 2019

**GADASAKHADEBI** #6, 2019



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №130

2019 წლის 15 მარტი, ქ. თბილისი

**„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, 470000000.10.003.021008) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №21 დანართის („ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა“):

1. **მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ზ) ლოჯისტიკის კომპონენტს, მათ შორის:

ზ.ა) ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა პროგრამის მოსარგებლეებზე;

ზ.ბ) საკომუნიკაციო აქტივობები, ცნობიერების ამაღლების მიზნით;

ზ.გ) მცირე მასშტაბის კვლევის განხორციელება პოტენციურ ბენეფიციართა ინფორმირებულობის დონის განსაზღვრის, სამკურნალო ქცევის შესწავლისა და პროგრამით სარგებლობის პოტენციალის შეფასების მიზნით;



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ.დ) კომპონენტის ადმინისტრირების უზრუნველყოფა.“.

2. **მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი**:

„6. პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ბ“ და „ზ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება გაწეული მომსახურების მიხედვით, განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში.“.

3. **მე-5 მუხლის**:

**ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.“;

**ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი**:

„3. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ბ“ და „ზ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.“.

4. **მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

**„მუხლი 6. მომსახურების მიმწოდებელი**

ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება ამავე პროგრამის მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად.“.

5. **მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

**„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 20,000.0 ათასი ლარით, მათ შორის, ლოჯისტიკის კომპონენტის ბიუჯეტი – 1,000.0 ათასი ლარი.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 15 მარტიდან.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №133

2019 წლის 15 მარტი, ქ. თბილისი

### სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლისა და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, დამტკიცდეს თანდართული „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის პროგრამა“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**

### სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის

### პროგრამა

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ფარმაცევტული საქმიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. მკურნალობის პროცესში გამოყენებული ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხი, ეფექტიანობა და უსაფრთხოება ის მაჩვენებლებია, რომლებიც სხვა, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად  განსაზღვრავენ მკურნალობის ხარისხს, ხანგრძლივობასა და, საბოლოო ჯამში, სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

**მუხლი 2. პროგრამის მიზანი და ამოცანა**

1. პროგრამის მიზანია ფარმაცევტული ბაზრის დაცვა ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული და საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე სამკურნალო საშუალებისაგან.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. პროგრამის ამოცანაა ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეალიზატორების შერჩევითი კონტროლის განხორციელებისას შესყიდული ნიმუშების, ასევე საქართველოს ბაზარზე ფარმაცევტული პროდუქტის დაშვების უზრუნველსაყოფად სარეგისტრაციო ნიმუშების ხარისხის სტანდარტებსა და სპეციფიკაციის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ანალიზის მეთოდების აღწარმოებულობის დადგენა.

**მუხლი 3. პროგრამის ღონისძიებები და განხორციელების მეთოდოლოგია**

1. პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – წამლის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ა) ფარმაცევტული პროდუქტის სადისტრიბუციო ჯაჭვის ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება, რა დროსაც მაკონტროლებელი ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორებისაგან შეისყიდის სამკურნალო საშუალების ნიმუშს და ადგენს შეფუთვა-მარკირების, ვარგისიანობის, საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების, დისტრიბუციის უფლებისა და სხვა, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის მდგომარეობას;

ბ) სადისტრიბუციო ჯაჭვის იმ რგოლში, სადაც ვერ ხერხდება შესყიდვის განხორციელება, სააგენტო აწარმოებს სინჯის აღებას;

გ) ფალსიფიკაციისა და გაუვარგისების მაღალი რისკის კრიტერიუმების არსებობისას, სააგენტო უზრუნველყოფს სადისტრიბუციო რგოლში შესყიდული ნიმუშის/აღებული სინჯის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სარეგისტრაციო ნიმუშის შემდგომ ლაბორატორიულ კვლევას;

დ) სამკურნალო საშუალების ლაბორატორიული კონტროლი, ადგილობრივი ლაბორატორიის პარალელურად, შესაძლებელია, ჩატარდეს საზღვარგარეთ, ჯანმრთელობაზე ზრუნვის და სამკურნალო საშუალებების ხარისხის ევროპის დირექტორატის (EDQM) ოფიციალური სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლის (OMCL) ან/და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული ლაბორატორიის მიერ.

3. სამკურნალო საშუალების ლაბორატორიული კვლევისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლებისაგან ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო ჯანმრთელობაზე ზრუნვის და სამკურნალო საშუალებების ხარისხის ევროპის დირექტორატის (EDQM) ოფიციალური სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლის (OMCL) ან/და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული საზღვარგარეთ არსებული ლაბორატორიებისგან შესაბამისი მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მუხლი 4. დაფინანსების წესი და პროგრამის ბიუჯეტი**

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (პროგრამული კოდის – 27 01 02 03 ფარგლებში), პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარით.

| **სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა** | **თანხა (ლარებში)** |
|---|---|
| სამკურნალო საშუალებების ნიმუშების შესყიდვა | 7 000 |
| მივლინების ხარჯები | 10 000 |
| სამკურნალო საშუალების ხარისხის ლაბორატორიული კვლევა | 133 000 |
| **სულ:** | **150 000** |

**მუხლი 5. პროგრამის შედეგი**

პროგრამა ხელს შეუწყობს ფარმაცევტული ბაზრის დაცვას გაუვარგისებული, უხარისხო და ფალსიფიცირებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან.

**მუხლი 6. პროგრამის განხორციელების ვადები**

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №135

2019 წლის 15 მარტი, ქ. თბილისი

### სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა“.

**მუხლი 2**

ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტიდან (პროგრამული კოდი: 31 05 09).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**

### სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანა**

1. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) მიზანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, რომელიც განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად (ნებისმიერი ტიპის მოსავლის ამღები ტექნიკა, როგორც თვითმავალი, ასევე მისაბმელი; სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები; ტრაქტორის სასოფლო-სამეურნეო მისაბმელები (იმპლემენტი) და მოტობლოკი), ხელმისაწვდომობის გაზრდა.

2. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა თანადაფინანსების გზით.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

4. სააგენტომ პროგრამისათვის გამოყოფილი თანხების განაწილება, პროგრამით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახეობების მიხედვით, უნდა შეათანხმოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

**მუხლი 2. პროგრამაში მონაწილეობის პირობები**

1. პროგრამის ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ან კანონის შესაბამისად რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირი (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი), რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას.

2. პროგრამის ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში.

3. შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი) და აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა წარმოებული უნდა იყოს შესყიდვამდე არაუმეტეს 2 კალენდარული წლით ადრე;

ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შესყიდვის მომენტში უნდა მოქმედებდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკაზე საგარანტიო პირობები.

4. პროგრამის ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ.

**მუხლი 3. შეზღუდვები**

1. სააგენტოს თანადაფინანსების გაცემის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ბენეფიციარის თანამონაწილეობა, რომელიც უნდა შეადგენდეს დასაფინანსებელი პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 50%-ს.

2. პროგრამის ფარგლებში შეძენილმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკამ შეძენიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ უნდა გადაკვეთოს საქართველოს საზღვარი.

3. პროგრამის ბენეფიციარი ვალდებულია, უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (რომელიც არის იდენტიფიცირებადი და ენიჭება სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირების სახელმწიფო ნომერი, გაცემული სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ) დაგირავება სააგენტოს სასარგებლოდ, 5 (ხუთი) წლის ვადით.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სააგენტოს სასარგებლოდ დაგირავება უნდა განხორციელდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ შეძენილ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე სააგენტოს გირავნობა შესაძლოა იყოს რიგით მეორე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული კრედიტი და ამ კრედიტის უზრუნველსაყოფად საფინანსო ინსტიტუტი არის ტექნიკის პირველი რიგის მოგირავნე.

6. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაგირავებას სააგენტო არ განახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს ლიზინგი.

**მუხლი 4. ფინანსური დახმარება**

სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა ერთ ბენეფიციარზე შეადგენს შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 150,000 ლარისა.

**მუხლი 5. პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის მიერ თანადაფინანსების მიღების მიზნით წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა**

პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, პროგრამის პოტენციურმა ბენეფიციარმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში – დირექტორის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

გ) იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში – სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შესახებ;

ე) იურიდიული პირების შემთხვევაში – ნოტარიული წესით დამოწმებული დამფუძნებლების/პარტნიორების კრების ოქმი პროგრამაში მონაწილეობისა და სააგენტოსთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების თაობაზე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არარსებობის შესახებ;

ზ) ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი – ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის/ლიზინგის დამტკიცების თაობაზე;

თ) შესაძენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკაზე იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის მიერ პოტენციური ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოისი ან/და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ ენაზე (იმპორტის შემთხვევაში – ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი);

ი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული კომპანიის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, წარდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ;

კ) სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა წარდგენის აუცილებლობასაც განსაზღვრავს სააგენტო.

**მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტი**

პოტენციური ბენეფიციარი ვერ მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას, თუ პოტენციური ბენეფიციარი ან მისი დამფუძნებელი/მეპაიე/აქციონერი ფლობს წილს/აქციას/პაის წარდგენილი ინვოისით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიმწოდებელ კომპანიაში.

**მუხლი 7. თანადაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის პროცედურა**

1. პოტენციური ბენეფიციარის მიერ, დაფინანსების მიზნით, სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას პროექტის პირობებთან ამოწმებს სააგენტო, მის მიერ დამტკიცებული თანადაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის პროცედურის შესაბამისად.

2. სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, პოტენციურ ბენეფიციარს გაუფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება.

**მუხლი 8. პროგრამის მონიტორინგი და ანგარიშგება**

1. ბენეფიციარმა, პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად, სააგენტოს უნდა წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა პროგრამით გათვალისწინებული თანხების (ბენეფიციარის თანამონაწილეობა და სააგენტოს თანადაფინანსება) მიზნობრივად ხარჯვასა და მიზნობრიობის შესრულებასთან დაკავშირებით.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დასკვნისა და მისი თანმდევი დოკუმენტაციის დოკუმენტურ მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო, მის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

## საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №138

2019 წლის 15 მარტი, ქ. თბილისი

**„ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/08/2015, 300160070.10.003.018807) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 35-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ნაგავსაყრელი გადაფაროს ყოველდღიურად ნიადაგის და/ან ყოველდღიური, შუალედური და გრძელვადიანი გამოყენების ალტერნატიული საყოფაცხოვრებო ნარჩენების საფარით (სუსპენზია, რომელიც შედგება ბუნებრივი წარმოშობის სინთეზური და ბოჭკოვანი პოლიმერული მასალის, ცელულოზის ბოჭკოებისაგან) +5˚C-ზე მაღალი ტემპერატურის პირობებში, ხოლო +5˚C-ზე დაბალი ტემპერატურის პირობებში – სულ მცირე, 3 დღეში ერთხელ;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №139

2019 წლის 15 მარტი, ქ. თბილისი

### „ტექნიკური რეგლამენტის „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2014, 300160070.10.003.017598) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის:

1. **პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ტექნიკური რეგლამენტი „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესები“ (შემდგომში – რეგლამენტი) შემუშავებულია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

2. **მე-3 მუხლის**:

ა) **„ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (შემდგომში – სატრანსპორტო საშუალება) – ტერმინი განიმარტება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;“;

ბ) **„კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„კ) გადაკეთებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების ანგარიში – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ და დასკვნას კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გადაკეთების შესახებ.“.

3. **მე-4 მუხლის**:

ა) **მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„8. გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ინსპექტირების სამუშაოების ჩატარების შემდეგ ინსპექტირების ცენტრის მიერ ფორმდება შეფასების აქტი ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და ხდება მისი რეგისტრაცია სააღრიცხვო ჟურნალში, საიდენტიფიკაციო მონაცემების (აქტის №, აქტის შედგენის რეგისტრაციის თარიღი, სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშანი, გადაკეთების სახეობა, მფლობელი, მისი მისამართი და ტელეფონი) მითითებით. დადებითი შეფასების შემთხვევაში, გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელზე გაიცემა გადაკეთებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების ანგარიში ინსპექტირების ცენტრის მიერ, ამ რეგლამენტის დანართ №3-ით გათვალისწინებული ფორმით.“;

**ბ) მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

**4. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:**

„12. გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების რეგისტრაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 კალენდარულ დღეში განახორციელოს გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

**5. დანართ №1-ის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. დაუშვებელია სატვირთო თვითმცლელი სატრანსპორტო საშუალების ძარას ბორტების ცვლილების გზით სატრანსპორტო საშუალების გაბარიტების შეცვლა, თუ იგი აღემატება „ტექნიკური რეგლამენტის – „გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების გზებზე გამოყენებისათვის ნებადართული მაქსიმალური გაბარიტებისა და ნებადართული მაქსიმალური მასის განსაზღვრის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 აგვისტოს №393 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართით გათვალისწინებულ ზღვრულ მნიშვნელობებს.“.

**6. დანართი №3 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

**მუხლი 2**

დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამ დადგენილების შესაბამისად განახორციელოს ცვლილებები „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**

**„დანართი №3**

**გადაკეთებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების ანგარიში**

გადაკეთებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთებაზე ინსპექტირების ანგარიშის სარეგისტრაციო ნომერს, თარიღს.

2. ინსპექტირების ცენტრის დასახელებას.

3. ინსპექტირების ცენტრის მისამართს, ტელეფონის ნომერს.

4. ინსპექტირების ცენტრის ხელმძღვანელის გვარს, სახელს.

5. ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის მოწმობის ნომერს.

6. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მახასიათებლების საწყის მონაცემებს:

ა) მფლობელი;

ბ) VIN კოდი (საიდენტიფიკაციო ნომერი);

გ) დამამზადებლის საფირმო დასახელება;

დ) მარკა და ტიპი ან/და მოდელი;

ე) ძრავას მარკა;

ვ) ძრავას მუშა მოცულობა (სმ$^3$) და სიმძლავრე (კვტ/ცხძ);

ზ) სრული მასა, კგ;

თ) აღჭურვილი (საკუთარი) მასა, კგ;

ი) ღერძებზე მოსული მასები დატვირთვით, წინა/უკანა, კგ;

კ) ღერძებზე მოსული მასები დატვირთვის გარეშე, წინა/უკანა, კგ;

ლ) გაბარიტული ზომები, მმ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების შედეგად შეცვლილ მახასიათებლებსა და მათ მნიშვნელობას.

8. დასკვნას ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით.

9. ინსპექტირების ცენტრის პასუხისმგებელი პირის გვარს, სახელს, ხელმოწერას, ბეჭედს.“.

## საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №140

2019 წლის 15 მარტი, ქ. თბილისი

### „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/08/2018, 040030000.10.003.020737) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №145

2019 წლის 25 მარტი, ქ. თბილისი

## „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი** 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) წარმოების დაწყებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში წარმოების პროფილის შენარჩუნება და საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემამდე შეთავაზებული პროდუქციის მოცულობის წარმოების უზრუნველყოფა შემდეგი პირობებით:

გ.ა) წარმოების დაწყებიდან პირველი წლის განმავლობაში – წარმოების შეთავაზებული წლიური მოცულობის არანაკლებ 25%-ის წარმოება;

გ.ბ) წარმოების დაწყებიდან მეორე წლის განმავლობაში – წარმოების შეთავაზებული წლიური მოცულობის 50%-ის წარმოება.“.

**მუხლი** 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №147

2019 წლის 25 მარტი, ქ. თბილისი

## „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი** 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2011, 340170000.10.003.016170) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) კიბოსნაირებისა (რომელიც მიეკუთვნება Crustacea-ის ქვეტიპს) და მისი პროდუქტების ექსპორტისას.“.

**მუხლი** 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №148

2019 წლის 25 მარტი, ქ. თბილისი

**„საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი** 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებაში (სსმ, №86, 15/07/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველ მუხლში მოცემული ცხრილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| „3. შპს „ჯიფაუერი“ | აირტურბინული ელექტროსადგური | 80 | 2010 წლის 1 დეკემბრიდან<br>2011 წლის 1 მარტამდე<br>2012 წლის 1 აპრილიდან<br>2014 წლის 1 თებერვლამდე და<br>2016 წლის 1 აპრილიდან<br>2019 წლის 4 მარტამდე |
| | | 65 | 2011 წლის 1 მარტიდან<br>2012 წლის 1 აპრილამდე და<br>2014 წლის<br>1 თებერვლიდან<br>2016 წლის 1 აპრილამდე |
| | | 60 | 2019 წლის 4 მარტიდან<br>2020 წლის<br>1 სექტემბრამდე.“. |

**მუხლი** 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №149

2019 წლის 25 მარტი, ქ. თბილისი

## „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი** 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **დადგენილების** მე-4 **მუხლის**:

ა) **„თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„თ) სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო სტრუქტურების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და იმ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, რომლებშიც სახელმწიფოს საკუთრებაში აქვს 50%-ზე მეტი წილი, 2014 წლის 30 აპრილს და შემდეგ ყოველთვიურად, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებისა და მათი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა 2016 წლის 15 აპრილს და შემდეგ ყოველთვიურად, თვის პირველ სამუშაო დღეს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიაწოდონ განახლებული მონაცემები, მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, მათ ორგანიზაციებში დასაქმებული იმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ (პირადი ნომრების მითითებით), რომლებიც ამავე ორგანიზაციების მიერ არიან დაზღვეულნი საბიუჯეტო სახსრებით, გარდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში მომუშავე საჯარო მოხელეებისა და მათი ოჯახის წევრებისა, რომელთა სადაზღვევო ხელშეკრულებები მოქმედებს მხოლოდ ადგილსამყოფელ ქვეყნებში და არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე. საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეულ პირებზე არ ვრცელდება ამ დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“, გარდა დანართ №1-ის 23-ე მუხლის 51-ე პუნქტით, დანართ №1.5-ის პირველი პუნქტითა და დანართ №1.7-ით გათვალისწინებული მომსახურებისა, ასევე დანართ №1.6-ის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულია, ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან შეწყვიტოს პროგრამული მომსახურების მიწოდების ვალდებულება, გარდა ამავე მუხლის „თ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა;“;



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ი) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო სტრუქტურების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და იმ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, რომლებშიც ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს/ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში აქვთ/აქვს 50%-ზე მეტი წილი, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 30 აპრილს და შემდეგ ყოველთვიურად, თვის პირველ სამუშაო დღეს მიაწოდონ განახლებული მონაცემები, მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, მათ ორგანიზაციებში დასაქმებული იმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ (პირადი ნომრების მითითებით), რომლებიც იმავე ორგანიზაციების მიერ არიან დაზღვეულნი საბიუჯეტო სახსრებით. საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეულ პირებზე არ ვრცელდება ამ დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“, გარდა დანართ №1-ის 23-ე მუხლის 51-ე პუნქტით, დანართ №1.5-ის პირველი პუნქტითა და დანართ №1.7-ით გათვალისწინებული მომსახურებისა, ასევე დანართ №1.6-ის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულია, ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან შეწყვიტოს პროგრამული მომსახურების მიწოდების ვალდებულება;“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)** 23-ე **მუხლის**:

**ა) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„11. 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, აწარმოოს მიმაგრებული კონტინგენტის აღრიცხვა (მათ შორის, ასაცრელი კონტინგენტი) და რუტინული ვაქცინაციის მიმდინარეობისა და განმახორციელებლის მიერ დადგენილი სხვა სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია დადგენილი ფორმისა და წესის შესაბამისად მიაწოდოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონალური/ რაიონულ ცენტრებს. ამასთან, წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაციის მიზნით, 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, მოახდინოს მიმაგრებული კონტინგენტის იმუნიზაციის ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირება და წითელაზე აცრის სტატუსის აღრიცხვა.“;

**ბ) 50-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 51-ე პუნქტი**:

„51. ნეონატალურ ასაკში დაწყებული უწყვეტი სტაციონარული შემთხვევა, ასევე თანდაყოლილი პათოლოგიით გამოწვეული გადაუდებელი სტაციონარული შემთხვევა 18 წლამდე ასაკის პაციენტებისთვის, მიუხედავად იმისა, მოსარგებლე არის/გახდება თუ არა საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული, დაფინანსდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში; ამასთან, დაფინანსება განხორციელდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ განსაზღვრული პრინციპების (მოსარგებლის კატეგორია (საბიუჯეტო დაზღვევის მიუხედავად), შესაბამისი მომსახურების პაკეტი, თანაგადახდის წილი, ღირებულება) შესაბამისად.“.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მუხლი** 2

დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2019 წლის 1 აპრილიდან, ხოლო პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**

## საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №150

2019 წლის 25 მარტი, ქ. თბილისი

**„რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი** 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/11/2010, 010220030.10.003.016063) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „კომისიის საქმიანობის წესის“:

1. **მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი**:

„ი) საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული პირები, რომელთაც ესაჭიროებათ ისეთი გეგმური/გადაუდებელი სტაციონარული სამედიცინო მომსახურება, რომელთა ხარჯები არ იფარება სახელმწიფო ტენდერის ფარგლებში შეძენილი სადაზღვევო პირობების მიხედვით სადაზღვევო სქემებით, მაგრამ ფინანსდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ბენეფიციარებისთვის.“.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-7 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ პუნქტი:

„$1^1$. ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებისთვის მკურნალობა დაფინანსდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ განსაზღვრული პრინციპების (მოსარგებლის კატეგორია (საბიუჯეტო დაზღვევის მიუხედავად), შესაბამისი მომსახურების პაკეტი, თანაგადახდის წილი, ღირებულება) შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

## საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №153

2019 წლის 25 მარტი, ქ. თბილისი

### „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/03/2017, 010240030.10.003.019877) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დისციპლინური გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და მისი აღმოჩენის მიზნით განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების/დისციპლინური წარმოების შემდეგი ღონისძიებები:



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ა) სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია;

ბ.ბ) სამინისტროს სისტემაში თანამშრომელთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების (იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის იდენტიფიცირება შეუძლებელია) ან/და დისციპლინური წარმოების ჩატარება, მათ საფუძველზე დასკვნის შედგენა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

ბ.გ) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და პრევენცია, სამინისტროს სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზების, მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისა და მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების მიზნით, ასევე არსებული პრობლემების გადასაწყვეტად ან/და პროცესში არსებული რისკების შესამცირებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

ბ.დ) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულების კონტროლი;

ბ.ე) სამსახურებრივი შემოწმების ან/და დისციპლინური წარმოების ჩატარების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, მინისტრთან შეთანხმებით, მასალების შესაბამის ორგანოში გადაგზავნა;

ბ.ვ) დეპარტამენტის „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა.“.

**მუხლი** 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**მამუკა ბახტაძე**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №74

2019 წლის 15 მარტი, ქ. თბილისი

**„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი 1**

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით (სსმ III, 03.08.2005 წ., №91, მუხ.1035) დამტკიცებულ „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხაში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და მე-2 პუნქტის:

1. „ჰ.კ“ და ,,ჰ.ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ.კ) სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო მოწმობა, სალიცენზიო მოწმობის დანართი;

ჰ.ლ) ავტორიზებული აფთიაქის/ფარმაცევტული წარმოების (სამკურნალო საშუალებების, გარდა ნარკოტიკულისა) სანებართვო მოწმობა, ავტორიზებული აფთიაქის/ფარმაცევტული წარმოების (სამკურნალო საშუალებების, გარდა ნარკოტიკულისა) სანებართვო მოწმობის დანართი;“.

2. „ჰ.კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ჰ.კ$^{1}$“ ქვეპუნქტი:

„ჰ.კ$^{1}$) სტაციონარული დაწესებულების სანებართვო მოწმობა და სტაციონარული დაწესებულების სანებართვო მოწმობის დანართი;“.

3. ,,ჰ.ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,ჰ.ლ$^{1}$“ ქვეპუნქტი:

„ჰ.ლ$^{1}$) ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის სანებართვო მოწმობა, ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის სანებართვო მოწმობის დანართი;“.

4. „ჰ.მ$^{2}$“ - ,,ჰ.მ$^{4}$“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ჰ.მ[2]) სარეზიდენტო/რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა (პროფესიული განვითარების საბჭოს მოწმობა);

ჰ.მ[3]) სუბსპეციალობის მოწმობა;

ჰ.მ[4] ) ფარმაცევტული პროდუქტის სარეგისტრაციო მოწმობა;“.

5. „ჰ.ჰ.კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ.ჰ.კ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი; მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი (გარდა სერტიფიკატის დანართისა); პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – პროფესიული დიპლომი; სახელობო განათლების სერტიფიკატის დუბლიკატი; საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი; სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი; ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატი;“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №76

2019 წლის 19 მარტი, ქ. თბილისი

### „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის №279 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის №279 ბრძანების (ვებგვერდი, 25/07/2018, სარეგისტრაციო კოდი: 200230040.22.033.017115) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია 2018 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე საგადასახადო პერიოდზე საანგარიშო წლის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) დანართი №5-ის შესაბამისად საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია არაუგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა“.

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №88

2019 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი

**„ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №916 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №916 ბრძანებით (სსმ, 30.12.2009, №159, სარეგისტრაციო კოდი: 190.040.000.22.033.014.026) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-12 მუხლის $3^1$ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$3^1$. საგადახდო დავალება მზადდება ერთ ეგზემპლარად, მონაცემთა ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით, ელექტრონული საგადახდო დავალების წარდგენის შემთხვევაში, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი აკმაყოფილებს შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული რისკების კრიტერიუმებს და ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნება ხორციელდება ავტომატურად.“.

2. 23-ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საგადახდო დავალება მზადდება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან მეორე და მესამე ეგზემპლარები ხელმოწერილია უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ და დადასტურებულია ბეჭდით, გარდა ამ მუხლის $5^1$ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „5[1]. ელექტრონული საგადახდო დავალების წარდგენის შემთხვევაში, საგადახდო დავალება მზადდება ერთ ეგზემპლარად, მონაცემთა ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით.“.

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №90

2019 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი

### „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბიუჯეტის განმკარგველის – 357 – „სსიპ „ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:

| | | |
|---|---|---|
| 358 | 0970 | სსიპ „სახელმწიფო ენის დეპარტამენტი“ |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ბიუჯეტის განმკარგველის – 1457 – „ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:

| | | |
|---|---|---|
| 1458 | 5098 | ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“ |

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №91

2019 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი

**„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 22 ოქტომბრის №801 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 22 ოქტომბრის №801 ბრძანებით (სსმ, 138, 26/10/2010, სარეგისტრაციო კოდი 010240030.22.033.016027) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 **მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„გ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით, კანონშესაბამისი რეაგირება და ასეთი გადაცდომების პრევენცია.“;

2. **მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) დისციპლინური გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და მისი აღმოჩენის მიზნით განხორციელებული შემდეგი ღონისძიებები:

ბ.ა) სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია;

ბ.ბ) სამინისტროს სისტემაში თანამშრომელთა მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე დისციპლინური წარმოების ჩატარება, დასკვნის შედგენა, მისი ხელმძღვანელობისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირისთვის (მისი არსებობის შემთხვევაში) წარდგენა;

ბ.გ) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, სამინისტროს სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, მისი შედეგების და შემოწმების ობიექტთან შეთანხმებული რეკომენდაციების მინისტრისათვის წარდგენა;

ბ.დ) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის ნორმათა შესრულების კონტროლი;

ბ.ე) სამსახურებრივი შემოწმების ან დისციპლინური წარმოების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, მინისტრთან შეთანხმებით, მასალების შესაბამის ორგანოში გადაგზავნა;

ბ.ვ) დეპარტამენტის „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა.“.

3. **მე-4 მუხლის**:

**ა) პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„დ) განახორციელოს სამინისტროს სისტემაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი. სამსახურებრივი შემოწმების ან/და დისციპლინური წარმოების შედეგად გამოავლინოს სამინისტროს თანამშრომელთა მიერ დისციპლინური გადაცდომის, სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების და კანონიერი ინტერესების შელახვის და სხვა მართლსაწინააღმდეგო ფაქტები. განიხილოს და შეისწავლოს შემოსული წერილები, შეტყობინებები, განცხადებები და სხვა სახის ინფორმაცია და საქართველოს



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) სამინისტროს ცენტრალურ აპარატში განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების ან დისციპლინური წარმოების შედეგად შედგენილი დასკვნა წარუდგინოს მინისტრს და დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს (მისი არსებობის შემთხვევაში), ხოლო სამინისტროს სისტემაში განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების ან დისციპლინური წარმოების შედეგად შედგენილი დასკვნა წარუდგინოს მინისტრს ან ნომენკლატურული დაქვემდებარების გათვალისწინებით, შესაბამის ორგანიზაციის ხელმძღვანელს და დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს (მისი არსებობის შემთხვევაში). სამსახურებრივი შემოწმების ან დისციპლინური წარმოების შედეგად შედგენილ დასკვნაში ასახოს რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვავში) მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენციის ან პროცესის გაუმჯობესების მიზნით.“.

**ბ) მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ი) სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შედგენილი დასკვნა რეაგირებისათვის გადაუგზავნოს მინისტრს ან/და შემოწმებული ობიექტის ხელმძღვანელს, ხოლო დისციპლინური წარმოების შედეგად შედგენილი დასკვნა რეაგირებისთვის გადაუგზავნოს მინისტრს ან/და ნომენკლატურული დაქვემდებარების გათვალისწინებით, შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელს და გასაცნობად დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს (მისი არსებობის შემთხვევაში).“.

4. $4^1$ **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

**„მუხლი $4^1$. სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების ვადა**

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების ვადა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს. მინისტრმა ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს ერთხელ, არაუმეტეს 30 კალენდარული დღით.“.

5. **მე-11 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) სამინისტროს სისტემაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, დისციპლინური გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებების ან საჩივრების (მხოლოდ სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის საკითხებთან დაკავშირებით) შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;

ბ) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ან დისციპლინური წარმოების ჩატარება, შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების შემუშავება;“.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. $11^1$ **მუხლის პირველი პუნქტის**:

ა) **„ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) განახორციელოს ფინანსთა სამინიტროს სისტემაში სამსახურებრივი შემოწმება ან/და დისციპლინური წარმოება მიღებული განცხადების, საჩივრის, შეტყობინებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე;“;

ბ) **„თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„თ) დისციპლინური წარმოების შედეგების საფუძველზე მინისტრს, ან ნომენკლატურული დაქვემდებარების გათვალისწინებით, შესაბამის ორგანიზაციის ხელმძღვანელებს წარუდგინოს რეკომენდაცია გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების შესახებ;“;

გ) **„კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

კ) წარმოებული სამსახურებრივი შემოწმების ან/და დისციპლინური წარმოების შედეგად სამინისტროს სისტემის თანამშრომლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, მოპოვებული მასალები, მინისტრთან შეთანხმებით, გადაუგზავნოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.“;

7. $11^1$ **მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) სამსახურებრივი შემოწმება და დისციპლინური წარმოება ჩაატაროს დადგენილ ვადებში და წესით;“.

8. $11^2$ **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** $11^2$. **სამსახურებრივი შემოწმების მიზანი**

სამსახურებრივი შემოწმების მიზანია სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და პრევენცია, სამინისტროს სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზების, მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და მიმდინარე პროცესების გაუმჯობესება. არსებული პრობლემების გადასაწყვეტად ან/და პროცესში არსებული რისკების შესამცირებლად შესაფერისი რეკომენდაციების გაცემა ან/და შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირების იდენტიფიცირება, შემდგომში დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით.“.

9. **დაემატოს შემდეგი შინაარსის** $11^3$, $11^4$ **და** $11^5$ **მუხლები**:

„**მუხლი** $11^3$. **სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების წესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. სამსახურებრივი შემოწმების საფუძველი შეიძლება იყოს ცნობები სამინისტროს სისტემის თანამშრომლების (რომელთა იდენტიფიცირება სამსახურებრივი შემოწმების დაწყების ეტაპზე შეუძლებელია) მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ, მათ შორის, მოქალაქეთა წერილობითი საჩივრები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული შეტყობინებები და მასალები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნებული ინფორმაცია, „ცხელი ხაზით“ შემოსული შეტყობინებები და სხვა.

2. სამსახურებრივი შემოწმება ტარდება მინისტრის წერილობითი ბრძანების საფუძველზე.

3. მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს ფინანსთა სამინისტროს ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის/სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შესამოწმებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის/სტრუქტურული ერთეულის სახელწოდება, შემოწმების საგანი, შესამოწმებელი პერიოდი, შემოწმების ვადა და საფუძველი, ასევე შემოწმების ჯგუფის პერსონალური შემადგენლობა.

4. შემოწმების შედეგებზე შემოწმების ჯგუფი ადგენს დასკვნას, რომელშიც აისახება ინფორმაცია მოპოვებული მასალებისა და აღმოჩენილი დარღვევების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ, შემოწმების დროს დაფიქსირებული ფაქტების ანალიზი, არსებულ ან/და მოსალოდნელ დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, კონკრეტული წინადადებები და მოსაზრებები ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შემოწმების შედეგებზე რეაგირების ღონისძიებათა შესახებ.

5. შემოწმების დასკვნას ხელს აწერს ინსპექტირების სამმართველოს უფროსი და შემოწმების ჯგუფის ყველა წევრი.

6. დასკვნა გაცნობისათვის და შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნება მინისტრს, ასევე შემოწმებული პირველადი სტრუქტურული ერთეულის (დეპარტამენტი/სამსახური/სამმართველო)/სამმართველოს ხელმძღვანელს ან/და სხვა უფლებამოსილ პირს.

7. სამინისტროს ცენტრალური აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულების (დეპარტამენტი/სამსახური/სამმართველო)/სამმართველოს და სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეულების/მეორადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან მათ დაქვემდებარებაში მყოფი ან სხვა ნებისმიერი თანამშრომლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისა და კანონდარღვევის ფაქტების შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია/საჩივარი დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინსპექტირების სამმართველოს.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8. ინსპექტირების სამმართველოსთვის ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობა, თუ ეს ინფორმაცია ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იწვევს სამინისტროს ცენტრალური აპარატის შესაბამისი პირველადი სტრუქტურული ერთეულების (დეპარტამენტი/სამსახური/სამმართველო), სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებას.

**მუხლი** 11[4]. **დისციპლინური წარმოების მიზანი**

დისციპლინური წარმოების მიზანია დისციპლინური გადაცდომის ფაქტის სწრაფად და სრულად გამოვლენა და დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა.

**მუხლი** 11[5]. **დისციპლინური წარმოების დაწყება**

1. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლებია:

ა) მოხელის ან ყოფილი მოხელის განცხადება დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე;

ბ) სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის თაობაზე დასაბუთებული ეჭვის არსებობა;

გ) საჯარო დაწესებულებაში განხორციელებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამსახურებრივი შემოწმების, მათ შორის აუდიტის, ინსპექტირების ან/და მონიტორინგის შედეგები.

დ) ცნობები სამინისტროს სისტემის თანამშრომლის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ, მათ შორის, მოქალაქეთა წერილობითი საჩივრები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული შეტყობინებები და მასალები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნებული ინფორმაციები და „ცხელი ხაზით“ შემოსული შეტყობინებები.

2. დისციპლინური წარმოება ხორციელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის X თავით განსაზღვრული პრინციპებისა და მოთხოვნების დაცვით.“.

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №93

2019 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ს“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. $17^6$ **მუხლი ამოღებულ იქნეს**.

3. $17^7$ **მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ე) გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ხარისხის კონტროლი, მომსახურების ხარისხისა და პროცედურების ხარვეზების ანალიზი და მათი გაუმჯობესება/აღმოფხვრაზე წინადადებების დამუშავება/შემუშავება და ხელმძღვანელობასთან წარდგენა;“.

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 აპრილიდან.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბრძანება №01-17/ნ

2019 წლის 4 მარტი, ქ. თბილისი

### ,,დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებაში (სსმ III, 20.02.2009 წ., №20, მუხ. 254) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. **ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის

მოწესრიგების მიზნით, **ვბრძანებ**:“.

2. **ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი)**

**ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ეს წესი აწესრიგებს საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ დასაქმებულთათვის (შემდგომში – დასაქმებულები) და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო/საჯარო მოსამსახურეთათვის, აგრეთვე, ამავე კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ პირთათვის (შემდგომში – მოსამსახურეები) დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნის, გაანგარიშებისა და გაცემის საკითხებს.“;



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ბ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. მოსამსახურისათვის გასაცემი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს მისი თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი.“.

**მუხლი** 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,**

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი**

**დავით სერგეენკო**

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბრძანება №01-21/ნ

2019 წლის 22 მარტი, ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 29/12/2011, სარეგისტრაციო კოდი: 010240070.22.035.016107) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 38-ე ნაწილის (გარდა $155^{7}$ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულისა) და $36^{1}$-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა;”.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,**

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი**

**დავით სერგეენკო**

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბრძანება №01-24/ნ

2019 წლის 22 მარტი, ქ. თბილისი

**„მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი 1**

„მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ (სსმ III, №69, 17/05/2007, ს/კ 470.230.000.22.035.010.318) ბრძანებით დამტკიცებულ №1 დანართში (მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. XXII თავიდან (ტრანსპორტი) ამოღებულ იქნეს 483-ე მუხლი (ჰიდრომეტსამსახური).

2. №1 დანართს „თავი XXX“-ის შემდეგ დაემატოს „თავი XXXI. მოსალოდნელი ბუნებრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილებები“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„თავი XXXI. მოსალოდნელი ბუნებრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილებები

მუხლი 541. ჰიდრომეტეოროლოგიისა და გეოლოგიის სფეროებში საქმიანობა

1. თოვლსაზვავე, გლაციოლოგიურ და წყალდიდობა-წყალმოვარდნა-ღვარცოფების პერიოდში ჰიდრომეტრულ საველე ექსპედიციებში მონაწილე სპეციალისტი.

2. სტიქიური გეოლოგიური პროცესების ექსტრემალური განვითარების პერიოდში საფრთხეების ოპერატიულად შეფასებისათვის საველე ექსპედიციური სამუშაოების განმახორციელებელი სპეციალისტი.

3. ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების სამუშაოების (მეტეოროლოგიური რადიოზონდების ტესტირება, წყალბადის გაზგენერატორებთან მუშაობა) განმახორციელებელი სპეციალისტი.

4. მეტეოროლოგიური რადარების ტექნიკური უზრუნველყოფის სამუშაოების განმახორციელებელი სპეციალისტი.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის**

**ბრძანება №51/ნ**

2019 წლის 21 მარტი, ქ. თბილისი

**„სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებაში (სსმ III, 22.04.2009 წ., №49, მუხ. 555) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ (დანართი№1) 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მაგისტრანტობის კანდიდატი საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით, ამ დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით, საპრეტენზიო განაცხადს ავსებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადა არ უნდა იყოს 3 სამუშაო დღეზე ნაკლები.“.

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების,**

**კულტურისა და სპორტის მინისტრი**

**მიხეილ ბატიაშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის**

**ბრძანება №52/ნ**

2019 წლის 21 მარტი, ქ. თბილისი

**„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 21/02/2011, სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016055) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აბიტურიენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით, ამ დებულების 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით, საპრეტენზიო განაცხადს ავსებს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადა არ უნდა იყოს 3 სამუშაო დღეზე ნაკლები.“.

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების,**

**კულტურისა და სპორტის მინისტრი**

**მიხეილ ბატიაშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის**

# ბრძანება №56/ნ

2019 წლის 21 მარტი, ქ. თბილისი

**„საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №46/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №46/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 14/03/2017; სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017296) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აპლიკანტი ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით, საპრეტენზიო განაცხადს ავსებს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადა არ უნდა იყოს 3 სამუშაო დღეზე ნაკლები.“.

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების,**

**კულტურისა და სპორტის მინისტრი**

**მიხეილ ბატიაშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის**

**ბრძანება №58/ნ**

2019 წლის 21 მარტი, ქ. თბილისი

**„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 აგვისტოს №24/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1. „შეტანილ იქნეს ცვლილება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 აგვისტოს №24/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 30/08/2018, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017581) და ბრძანების $1^1$ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^2$ და $1^3$ მუხლები:

„**მუხლი** $1^2$. გამოცდების ცენტრმა უზრუნველყოს მის მიერ 2019 წლის თებერვლის თვეში ჩატარებული ზოგადი უნარების გამოცდაზე რეგისტრირებული პირებისთვის ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის დაბრუნება.

**მუხლი** $1^3$. 2019 წლის თებერვალში ჩატარებული გამოცდების მომზადების მიზნით გამოცდების ცენტრის მიერ გატარებული ღონისძიების დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ცენტრისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან.“.

**მუხლი** 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების,**

**კულტურისა და სპორტის მინისტრი**

**მიხეილ ბატიაშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

## ბრძანება №50/04

2019 წლის 7 მარტი, ქ. თბილისი

**„უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟების ნუსხის, მათზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და უცხო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოში საჯარო შეთავაზების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 14 ივნისის №108/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟების ნუსხის, მათზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და უცხო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოში საჯარო შეთავაზების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 14 ივნისის №108/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 15/06/2018, ს/კ: 300060000.18.011.016306) დამტკიცებულ „უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟების ნუსხაში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი №1-ის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ევრონექსთის ჯგუფი: ევრონექსთ პარიზი, ევრონექსთ ამსტერდამი, ევრონექსთ ბრიუსელი, ევრონექსთ ლისაბონი, ევრონექსთ ლონდონი, ევრონექსთ დუბლინი (Euronext Group (Paris, Amsterdam, Brussels, Lisbon, London, Dublin) – https://www.euronext.com ).“.

2. დანართი №1-ის მე-11 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი**

**კობა გვენეტაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

## ბრძანება №55/04

2019 წლის 19 მარტი, ქ. თბილისი

### „კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 11 თებერვლის №10/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და ამავე ორგანული კანონის 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 11 თებერვლის №10/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 14/02/2011; ს/კ: 220020000.18.011.016022) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 30%, გარდა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისა.

3. ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 15%.“.

2. **მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი**:

„თ) არარეზიდენტი კომერციული ბანკებიდან მიღებული მოთხოვნამდე დეპოზიტები და ერთდღიანი დეპოზიტები.“.

**მუხლი** 2

2019 წლის 19 მარტიდან მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშება და 2019 წლის 18 აპრილიდან მისი დაცვა კომერციულმა ბანკებმა უნდა განახორციელონ:

1. უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების 28%, გარდა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრების 13%.

**მუხლი** 3

2019 წლის 16 აპრილიდან მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშება და 2019 წლის 16 მაისიდან მისი დაცვა კომერციულმა ბანკებმა უნდა განახორციელონ:

1. უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების 30%, გარდა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისა.

2. ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრების 15%.

**მუხლი** 4

ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია საქართველოში კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვისათვის აუცილებელი დამატებითი ფულადი სახსრების დროული მობილიზებისა და საბანკო სისტემაში ლიკვიდობის დეფიციტის თავის არიდების აუცილებლობით.

**მუხლი** 5

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 19 მარტიდან.

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი**

**კობა გვენეტაძე**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# i n s t r u q c i a

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №92

2019 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 47-ე **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი**:

„4. გადასახადის გადამხდელს შეუძლია განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით, თუ ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნებაყოფლობით გატარდა რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;

ბ) რეგისტრაციის დღიდან არ გასულა 30 კალენდარულ დღეზე მეტი;

გ) არ დასტურდება ანგარიშ-ფაქტურის გატანა-გამოწერის ფაქტი;

დ) არ არის წარდგენილი დღგ-ის დეკლარაცია.“.

2. დანართი №III-03 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**

**დანართი №III-03**

_____
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

_____
ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ გადამხდელის დასახელება)

_____
საიდენტიფიკაციო ნომერი

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**
**დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ**

გთხოვთ, გამიუქმოთ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია

- ☐ საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო
- ☐ საქართველოში საქმიანობის შეწყვეტის გამო
- ☐ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების გამო
- ☐ სსკ 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში 100 000 ლარზე ნაკლები დასაბეგრი ოპერაციები)
- ☐ სსკ 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე საგადასახადო ორგანოს მომართვა)
- ☐ ,,გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად (ვადასტურებ, რომ კმაყოფილდება ,,გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობები)

(საჭირო უჯრა აღნიშნეთ „V“ ნიშნით)

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

თარიღი ----------



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# Semosavlebis samsaxuris brZaneba

## შემოსავლების სამსახურის

## ბრძანება №5578

2019 წლის 11 მარტი, ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №6):

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი$^{1}$“ ქვეპუნქტი:

„ი$^{1}$) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 28 დეკემბრის №480 ბრძანების საფუძველზე, „დასაბეგრი ბაზის შემცირების და მოგების გადატანის“ (BEPS) პროექტის მე-5 სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ საკითხებზე, შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებების ფინანსთა სამინისტროში გაგზავნა;“;

ბ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ$^{1}$“ ქვეპუნქტი:



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ვ[1]) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 28 დეკემბრის №480 ბრძანების საფუძველზე, „დასაბეგრი ბაზის შემცირების და მოგების გადატანის“ (BEPS) პროექტის მე-5 სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ საკითხებზე, შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებების ფინანსთა სამინისტროში გაგზავნა;“.

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №8):

ა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საგადასახადო შემოწმების №1 სამმართველო;

ბ) საგადასახადო შემოწმების №2 სამმართველო;

გ) საგადასახადო შემოწმების №3 სამმართველო;

დ) საგადასახადო შემოწმების №4 სამმართველო;

ე) საგადასახადო შემოწმების №5 სამმართველო;

ვ) საგადასახადო შემოწმების №6 სამმართველო;

ზ) საგადასახადო შემოწმების №7 სამმართველო;

თ) საგადასახადო შემოწმების №8 სამმართველო;

ი) მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორიის მქონე პირების საგადასახადო შემოწმების სამმართველო;

კ) საგადასახადო დეკლარაციების კონტროლის სამმართველო;

ლ) საგადასახადო დეკლარაციების კონტროლის განხორციელებისა და გადასახადის გადამხდელთა მოთხოვნის დამუშავების სამმართველო;

მ) აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;

ნ) საგადასახადო მონიტორინგის სამმართველო;

ო) ხარისხის კონტროლის სამმართველო;

პ) მედიაციის სამმართველო;

ჟ) საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების საკითხთა შეფასების (ტრანსფერფრაიზინგის) სამმართველო.“;

ბ) მე-8 და მე-9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**„მუხლი 8. საგადასახადო შემოწმების №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 სამმართველოები**

საგადასახადო შემოწმების №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 სამმართველოების ფუნქციებია:

ა) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით, გასვლითი და კამერალური საგადასახადო შემოწმებების, მათ შორის, საწარმოს რეორგანიზაციასთან/ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საგადასახადო შემოწმებების ჩატარება;

ბ) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში საგადასახადო შემოწმების აქტების შედგენა, შემოწმების მასალების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასკვნების მომზადება (მათ შორის, საგადასახადო დავებთან დაკავშირებით, ხარისხის კონტროლის შედეგებზე მომზადებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და ალტერნატიული აუდიტის შედეგებთან დაკავშირებით), შემოწმების მასალების განხილვის შედეგებზე გადასახადების ან/და სანქციების დარიცხვის, შემცირების ან არდარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოსთვის მასალების წარდგენა;

გ) განსაზღვრულ შემთხვევებში საგადასახადო შემოწმების აქტების/ოქმების პროექტების შედგენა და განხილვა. სათანადო დანართებთან ერთად, მათი შესაბამისი სამმართველოსათვის გადაგზავნა ან/და გადასახადის გადამხდელისათვის გადაცემა;

დ) შესაბამისი საფუძვლების არსებობის პირობებში (აქტის/ოქმის პროექტებთან დაკავშირებით, აუდიტის დეპარტამენტის სათათბირო საბჭოს ან/და შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს გადაწყვეტილებები) სათანადო დასკვნების ან/და საგადასახადო შემოწმების აქტის შედგენის უზრუნველყოფა;

ე) გასვლითი ან კამერალური საგადასახადო შემოწმების ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის საქმიანობის მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარება ან ამ პროცედურების ჩასატარებლად შესაბამისი წინადადებების წარდგენა დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის. გასვლითი ან კამერალური საგადასახადო შემოწმების პროცესის მონიტორინგი ან/და აუდიტორების მიერ საგადასახადო აუდიტის სახელმძღვანელოს დებულებათა დაცვის მონიტორინგი;

ვ) შემოწმების მასალებიდან გამომდინარე, შემხვედრი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ დეპარტამენტის უფროსისათვის წინადადებების წარდგენა ან/და შესაბამისი სამმართველოსთვის სათანადო მასალების მიწოდების უზრუნველყოფა;

ზ) გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი მონაცემების (დეკლარაციების და სხვა გაანგარიშებების), ასევე შემოსავლების სამსახურის ერთიანი საინფორმაციო ბაზიდან მიღებული ინფორმაციის თემატურად დამუშავება-ანალიზი და შესაბამისი წინადადებების წარდგენა დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის შემდგომში შემოწმების ჩატარების მიზნით;



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) საგადასახადო კონტროლთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების ან/და ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სამმართველოსთვის – დეპარტამენტის უფროსის/მოადგილისათვის სათანადო ბრძანების პროექტის მოსამზადებლად;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო სამართალდარღვევის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმების შედგენის და აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოსათვის შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაცემის უზრუნველყოფა;

კ) დანაშაულის ნიშნების არსებობისას საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემის მიზნით, შემოწმების მასალების მიწოდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის და კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო შემოწმების უზრუნველსაყოფად, შესაბამის საგამოძიებო, მაკონტროლებელ და სხვა ორგანოებთან თანამშრომლობა;

ლ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით გათვალისწინებული ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მომზადებაში მონაწილეობის მიღება, საჭიროების შემთხვევაში, მათი მოპოვების მიზნით, საგადასახადო შემოწმების განხორციელება;

მ) საგადასახადო შემოწმებებთან დაკავშირებით შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი წინადადებების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წინაშე წარდგენის უზრუნველყოფა;

ნ) საგადასახადო კანონმდებლობაში ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი წინადადებების დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

ო) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.

**მუხლი 9. მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორიის მქონე პირების საგადასახადო შემოწმების სამმართველო**

მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორიის მქონე პირების საგადასახადო შემოწმების სამმართველო ახორციელებს ამ დებულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორიის მქონე პირების მიმართ.“;

გ) $9^1$ და $9^2$ მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $9^1$. საგადასახადო დეკლარაციების კონტროლის სამმართველო**

საგადასახადო დეკლარაციების კონტროლის სამმართველო ახორციელებს:



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) შესაბამის შემთხვევებში, გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი იმ დეკლარაციების მონაცემების დამუშავებას, რომლებთან დაკავშირებითაც ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ, საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი დეკლარაციების ანალიზის შედეგად, განისაზღვრა რისკის ფაქტორების არსებობა. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო დასკვნის/შესაგებლის მომზადებას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას მიღებული ინფორმაციის ხელმძღვანელობისათვის წარდგენას ანალიტიკური დეპარტამენტისთვის გადასაგზავნად. ამ უკანასკვნელის მხრიდან შემდგომში, საგადასახადო კონტროლისათვის გადასახადის გადამხდელთა შესარჩევად, ზოგადი ანალიტიკური პროცედურების განხორციელებისას გამოსაყენებლად;

გ) ამ მუხლის „ა“ – „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას, საჭიროების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელებთან კომუნიკაციის განხორციელებას;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მიმდინარე საგადასახადო დავებში მონაწილეობას ან/და საგადასახადო დავებთან დაკავშირებით დავის განმხილველი ორგანოს მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადებას და მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას;

ე) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულებას.“

**მუხლი 9[2]. საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების საკითხთა შეფასების (ტრანსფერფრაიზინგის) სამმართველო:**

1. საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების საკითხთა შეფასების (ტრანსფერფრაიზინგის) სამმართველოს ფუნქციებია:

ა) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგადასახადო შემოწმებების ჩატარება და მიმდინარე საგადასახადო შემოწმებებში ჩართვა, საწარმოებს შორის განხორციელებული კონტროლირებული ოპერაციების შეფასების კუთხით, თუ ოპერაციის ერთ-ერთი მხარე:

ა.ა) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნის რეზიდენტია;

ა.ბ) იკვეთება ურთიერთდამოკიდებულება საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVII თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

ბ) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში საგადასახადო შემოწმების აქტების შედგენა, შემოწმების მასალების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასკვნების მომზადება (მათ შორის, საგადასახადო დავებთან დაკავშირებით, ხარისხის კონტროლის შედეგებზე მომზადებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით), შემოწმების მასალების განხილვის შედეგებზე გადასახადების ან/და სანქციების დარიცხვის, შემცირების ან არდარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოსთვის მასალების წარდგენა;



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) საგადასახადო შემოწმების აქტების/ოქმების პროექტების შედგენა და განხილვა. სათანადო დანართებთან ერთად, მათი შესაბამისი სამმართველოსათვის გადაგზავნა ან/და გადასახადის გადამხდელისათვის გადაცემა;

დ) შესაბამისი საფუძვლების არსებობის პირობებში (აქტის/ოქმის პროექტებთან დაკავშირებით, აუდიტის დეპარტამენტის სათათბირო საბჭოს ან/და შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს გადაწყვეტილებები) სათანადო დასკვნების ან/და საგადასახადო შემოწმების აქტის შედგენის უზრუნველყოფა;

ე) შემოწმების მასალებიდან გამომდინარე, შემხვედრი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ დეპარტამენტის უფროსისათვის წინადადებების წარდგენა ან/და შესაბამისი სამმართველოსთვის სათანადო მასალების მიწოდების უზრუნველყოფა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო სამართალდარღვევის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმების შედგენის და აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოსათვის შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაცემის უზრუნველყოფა;

ზ) დანაშაულის ნიშნების არსებობისას საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემის მიზნით, შემოწმების მასალების მიწოდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის და კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო შემოწმების უზრუნველსაყოფად, შესაბამის საგამოძიებო, მაკონტროლებელ და სხვა ორგანოებთან თანამშრომლობა;

თ) საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნებიდან ინფორმაციის გამოთხოვის წინადადებების წარდგენა აუდიტის დეპარტამენტის უფროსისათვის;

ი) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.

2. საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების საკითხების შეფასების (ტრანსფერფრაიზინგის) სამმართველო ასევე უფლებამოსილია, განახორციელოს საგადასახადო შემოწმება იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.“.

**მუხლი** 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 20 მარტიდან.

**სამსახურის უფროსი**

**ვახტანგ ლაშქარაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# saqarTvelos erovnuli banki

## დეპოზიტების მიმდინარე ტენდენციების შესახებ

25.03.2019

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2019 წლის პირველი მარტისათვის 22.9 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 319.1 მლნ ლარით, ანუ 1.4 პროცენტით მეტია პირველი თებერვლისათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.5 პროცენტით მეტი). თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების ზრდას 135.7 მლნ ლარით, ანუ 1.4 პროცენტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.4 პროცენტით), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები გაიზარდა 183.4 მლნ ლარით, ანუ 1.4 პროცენტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.6 პროცენტით).

დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის 37.67 პროცენტი შეადგინა. პირველი თებერვლის მდგომარეობასთან შედარებით, დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა 0.16 პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 0.51 პროცენტული პუნქტით).

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 5.7 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 7.6 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.9 პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 83.3 პროცენტი, ხოლო ევროს წილმა 15.2 პროცენტი შეადგინა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობა

25.03.2019

2019 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 15 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 14 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. თებერვალში წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 116.9 მლნ ლარით, ანუ 0.3 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.5 პროცენტით შემცირდა) და 2019 წლის პირველი მარტისათვის 38.9 მლრდ ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 5.3 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.5 პროცენტია.

## კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების შესახებ

25.03.2019

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2019 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით 52.2 მლნ ლარით (0.2 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.6 პროცენტით შემცირდა) და მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის 26.5 მლრდ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 66.6 მლნ ლარით (0.6 პროცენტით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 14.4 მლნ ლარით (0.1 პროცენტით) შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.5 პროცენტით შემცირდა).

რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2019 წლის თებერვლის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 3.4 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 0.2 პროცენტით მეტი), ხოლო უცხოური ვალუტით 8.3 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 0.6 პროცენტით ნაკლები) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე - 2.1 პროცენტით ნაკლები).

2019 წლის თებერვლის განმავლობაში 0.7 პროცენტით ანუ 96.6 მლნ ლარით გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის 14.1 მლრდ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 42.95 პროცენტი შეადგინა. 2019 წლის პირველი თებერვლის მდგომარეობასთან შედარებით მთლიანი სესხების ლარიზაცია გაიზარდა 0.17 პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით გაიზარდა 0.52 პროცენტული პუნქტით).



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# a u q c i o n i

## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

26.03.2019

2019 წლის 26 მარტს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 30 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 49 250 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.100 პროცენტით, მაქსიმალური 7.250 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.155 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.375 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# გამოიწერეთ

# გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხდელის უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com




PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com